

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

შპს სანრაიზ პალასი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს სანრაიზ პალასი
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2023

ამონაგები	4	-
სხვა შემოსავლები		35
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		5 158 453
გაყიდვების თვითღირებულება		(5 158 453)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(61 534)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(34 485)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(61 274)
საგადასახადო ხარჯი		(2 008)
სხვა ხარჯი	6	(1 203)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(160 468)
საკუროსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		13 469
ფინანსური ხარჯი		-
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(146 999)
მოგების გადასახადი		(210)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(147 209)

დირექტორი

ბუღალტერი

შპს სანრაიზ პალასი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2023

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	7	15 360 880
სულ გრძელვადიანი აქტივი		15 360 880

მიმდინარე აქტივები

მარაგი	8	3 334 084
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9	95 088
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		5 423 151
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10	1 754 197
სულ მიმდინარე აქტივები		10 606 520

სულ აქტივები **25 967 400**

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	665 698
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(147 209)
სულ საკუთარი კაპიტალი	518 489

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3 656 072
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		4 999
მიღებული ავანსები		21 787 840
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25 448 911

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები **25 967 400**

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს სანრაიზ პალასი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2022 ნაშთი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	665 698	-	665 698
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(147 209)	(147 209)
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2023 ნაშთი	665 698	(147 209)	518 489

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს სანრაიზ პალასი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

31.12.2023

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	21 787 840
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2 851 633)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(303 712)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	18 632 495

გადახდილი გადასახდები (2 194 683)

ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე 16 437 813

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 16 437 813

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალების შეძენა	(15 395 365)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	665 698

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები (14 729 667)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის გაცემა	-
სესხის დაბრუნება	-
პროცენტის მიღება	-
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	46 051
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	46 051

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა 1 754 197

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის -

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 1 754 197

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სანრაიზ პალასი“ ფუნქციონირებს 2023 წლის 15 მარტიდან ქალაქ

ბათუმში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებია ;

ნედიმ ქოიუნჯუ - 61301100201 – 16.36%

ემზარ ქოქოლაძე - 61006008930 - 45%

ნინო განჯელაშვილი - 01009018357- 38.64%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, N1

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 32

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	- 5 %
✓ მანქანა-დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	- 20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	- 20-30%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	- 10-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.6. აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. პორტფელის გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.7. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული

მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-
2	სხვა შემოსავალი	35
	ჯამი:	35

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	საშუამავლო მომსახურება	51 499
3	კომუნალური მომსახურება	2 266
4	საკონსულტაციო მომსახურება	-
5	პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება	4 910
6	ტრანსპორტირების ხარჯი	-
7	სხვა მომსახურება	2 599
	ჯამი:	61 274

6. სხვა ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	ჯარიმები და საურავები	14
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1
3	მოგებით დასაბეგრი ხარჯი	1 188
	ჯამი:	1 203

7. ძირითადი საშუალებები

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
1	მიწის ნაკვეთი	13 643 760	13 643 760	-	-
2	შენობა	-			-
3	დაუმთავრებელი მშენებლობა	-			-
4	ნაგებობები	-			-
5	მანქანა დანადგარები	1 703 481	1 703 481		-
6	ოფისის აღჭურვილობა	34 271	34 271		-
7	ავეჯი და სხვა ინვენტარი	13 853	13 853		-
8	სატრანსპორტო საშუალებები	-	-		-
	ჯამი:	15 395 365	15 395 365	-	-

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2023	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2022
1	მიწის ნაკვეთი	-	-	-	-
2	შენობა	-			-
3	ნაგებობები	-			-
4	მანქანა დანადგარები	33 055	33 055		-
5	ოფისის აღჭურვილობა	990	990		-
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	439	439		-
7	სატრანსპორტო საშუალებები	-	-		-
	ჯამი:	34 485	34 485	-	-

	საბალანსო ღირებულება	15 360 880			-
--	-----------------------------	-------------------	--	--	---

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	-
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	-
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	3 334 084

9. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო მოთხოვნები	95 088
	ჯამი:	95 088

10. ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	1 087 257
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	666 940
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	-
	ჯამი:	1 754 197

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო ვალდებულებები	3 656 026
2	პერსონალთან სახელფასო ვალდებულება	46
	ჯამი:	3 656 072

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს სანრაიზ პალასი
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2023

ამონაგები	4	-
სხვა შემოსავლები		35
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		5 158 453
გაყიდვების თვითღირებულება		(5 158 453)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(61 534)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(34 485)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(61 274)
საგადასახადო ხარჯი		(2 008)
სხვა ხარჯი	6	(1 203)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(160 468)
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		13 469
ფინანსური ხარჯი		-
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(146 999)
მოგების გადასახადი		(210)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(147 209)

დირექტორი



ბუღალტერი



მზს სანრაიზ პალასი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2023

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

7

15 360 880

სულ გრძელვადიანი აქტივი

15 360 880

მიმდინარე აქტივები

მარაგი

8

3 334 084

მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები

9

95 088

მიმდინარე საგადასახადო აქტივები

5 423 151

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

10

1 754 197

სულ მიმდინარე აქტივები

10 606 520

სულ აქტივები

25 967 400

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

665 698

გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(147 209)

სულ საკუთარი კაპიტალი

518 489

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

11

3 656 072

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

4 999

მიღებული ავანსები

21 787 840

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

25 448 911

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

25 967 400

დირექტორი

5. გიორგი

მთ. ბუღალტერი

9. ვლადიმერ

შპს სანრაიზ პალასი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2022 ნაშთი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	665 698	-	665 698
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(147 209)	(147 209)
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2023 ნაშთი	665 698	(147 209)	518 489

დირექტორი



მთ. ბუღალტერი



შპს სანრაიზ პალასი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

31.12.2023

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	21 787 840
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2 851 633)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(303 712)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</u>	<u>18 632 495</u>
<u>გადახდილი გადასახდელები</u>	<u>(2 194 683)</u>
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	16 437 813
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>16 437 813</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალების შეძენა	(15 395 365)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	665 698
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(14 729 667)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
სესხის გაცემა	-
სესხის დაბრუნება	-
პროცენტის მიღება	-
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	46 051
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>46 051</u>
<u>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა</u>	<u>1 754 197</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	-
<u>ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</u>	<u>1 754 197</u>

დირექტორი

6. [Signature]

მთ. ბუღალტერი

9. [Signature]

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი: 

მთ. ბუღალტერი: 